

ფლეს
ნომერშია

„ჩემი ხარაბაული“ - ახალი მედიის პროგრამის გამარჯვებული

გარემოსდაცვითი
ღონისძიება
ხარაბაულში 2 გვ.

ეპროკავშირის
სამეზობლო
პროგრამა სოფლის
განვითარებისთვის 2 გვ.

ექვს თვეში
სოციალური
294 102 ლარი გაიცა 3 გვ.

განსხვავებები 4 გვ.

ამბების აკილო

ფილს ხარაბაულის საავადმყოფოში ახალშობილი ჯერ არ დაბადებულა!

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაბაულის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსის, შორენა ყანჭავაძის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ექვს თვეში მათი სამსახურის მიერ რეგისტრირებულია 20 ქორწინება, 3 განქორწინება და 199 მოქალაქის გარდაცვალება. მიმდინარე წლის ექვს თვეში ხარაბაულში არ დაარეგისტრირებულა ახალშობილის დაბადება. შორენა ყანჭავაძის ინფორმაციით, მათი სამსახური ახალშობილის რეგისტრაციას ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ხარაბაულის საავადმყოფოში დაიბადა.

14 ივლისს ახალარჩეული საკრებულო შეიკრიბება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის #264/2014 განკარგულებით, 14 ივლისს, 10 საათზე, ხარაბაულში ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართება. საკრებულოს აპარატის ხარაბაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კახა შოლუბანიძე გახსნის და ცნობს ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილებას. დეპუტატები აირჩევენ საკრებულოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, შექმნიან კომისიებს, აირჩევენ მათ თავმჯდომარეებს და რეგისტრაციაში გაატარებენ



მულტიმედია კონფერენცია ახალი მედიის ინიციატივის პარტნიორებისათვის საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) G-MEDIA პროგრამამ „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ ბაკურიანში 5-8 ივლისს გამართა.

ახალი მედიის ინიციატივის შემატყობველ ღონისძიებაში G-MEDIA პროგრამის პარტნიორმა მედიორგანიზაციის წარმომ-

ადგენლებთან ერთად („ჩემი ხარაბაული“, „სპექტრი“ (გურჯაანი), საინფორმაციო ცენტრების ქსელი, „სამხრეთის კარიბჭე“ (ახალციხე), ბორჯომის ტელევიზია, „ახალი გაზეთი“ (ქუთაისი), რადიო „ნორი“ (ნინოწმინდა), „გურია ნიუსი“, „კახეთის ხმა“ (თელავი) მონაწილეობდნენ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის დირექტორი სტივენ ჰილი და IREX G-MEDIA პროგრამის ხელმძღვანელი მეთუ შელი.

IREX-ის ახალი მედიის მთავარმა მენეჯერმა დაჩი ბრძოლიძემ აღნიშნა, რომ ამ პროექტის დაწყებამდე 28 მედიორგანიზაციაში ჩატარდა გამოკითხვა, რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავეს მიმართულებები, რაც წარმატებას მოუტანდა პარტნიორ მედიორგანიზაციებს. პროექტის ფარგლებში მედია ორგანიზაციები აღიჭურვა სპეციალური პროგრამებითა და ტექნიკით. „ჩვენი მთავარი მისია იყო, რომ მედიორგანიზაციებს შეენარჩუნებინათ ძირითადი პროფესიონალი და მომხდარიყო მათი ინტეგრაცია ვებსაიტებისა, - აღნიშნა დაჩი ბრძოლიძემ, - პროექტის მიმდინარეობის პროცესში გამოჩნდა, რომ ორგანიზაციებს შეეძლოთ გაეკეთებინათ მეტი, ვიდრე ვებნარმოება და დაეინყეთ ფიქრი ონლაინ სტრუქტურებზე. ნელინა დანახევრის მანძილზე ვატრე-

ნინგებდით მედიორგანიზაციების თანამშრომლებს მულტიმედია-ანარმოებაში, მენეჯმენტში, ვიდეოს გადაღებასა და მონტაჟში. თითოეული თქვენგანი ჩვენთვის გმირია. თქვენ იყავით გაზეთის მწერალი ჟურნალისტები და თავდადებული მსვლელებით გაიზარდა თქვენი ვიდეონარმოების ხარისხი, გაყიდვები, შემოსავლები, ცოდნა.“

დაჩი ბრძოლიძემ აღნიშნა, რომ პროექტის დაწყებამდე IREX-ის მრჩეველს ჟურნალისტის საკითხებში მკაფიო მხარდასა და ტრენინგებს უზრუნველყოფდა მედიორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საქმისადმი ერთგულებისთვის.

G-MEDIA პროგრამის ხელმძღვანელმა მეთუ შელიმ აღნიშნა, რომ ინტერნეტი არის ინფორმაციის სანდო და დროული წყარო, ახალი შესაძლებლობა შემოსავლების გასაზრდელად, საუკეთესო საშუალება მოსახლეობასთან ურთიერთობის დასამყარებლად. „ეს საკითხი რეგონული მედიისთვის საკმაოდ აქტუალურია. ახალი მედიის პროექტი მოუტანს მნიშვნელოვან წარმატებას ჩვენს პარტნიორ მედიორგანიზაციებს. შეიძლება ითქვას, რომ პროექტის ფარგლებში თქვენ გაიმარჯვეთ, მაინც პროგრესს და კიდევ უფრო მეტად განვითარდებით.“

USAID-ის საქართველოს მისიის დირექტორი სტივენ ჰილიმ თქმით, ახალი მედია საქმიანობის

გაფართოების საშუალებას იძლევა. „თქვენ გახდებით უფრო კონკურენტუნარიანი და არ იქნებით დამოკიდებული პოლიტიკურ გავლენებზე.“ ინფორმაციის გავრცელების საქმეში ახალი და სოციალური მედიის როლი თანდათან იზრდება. ვიცი, რომ დიდი გამოხმაურება მოჰყვა თქვენს მიერ გადაღებულ ვიდეოს იუთუბზე. ეს კი ახალი ბიზნეს-მოდელების დანერგვისა და სარეკლამო მიმართულების განვითარებაში დაგეხმარება. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან თანამშრომლობა, - აღნიშნა მსხვერპლზე სტივენ ჰილიმ.

მულტიმედია კონფერენციაზე გამოვლინდა პროექტში მონაწილე სამი წარმატებული ორგანიზაცია: „ჩემი ხარაბაული“, „სპექტრი“ და „სამხრეთის კარიბჭე.“ გამარჯვებულები ვიდეონარმოებისთვის აუცილებელი უახლესი ტექნიკით დაჯილდოვდნენ.

6060 კაანაამ

შოტოვა: IREX G-MEDIA პროგრამის ხელმძღვანელი მეთუ შელი, USAID-ის საქართველოს მისიის დირექტორი სტივენ ჰილი, IREX-ის ახალი მედიის მთავარი მენეჯერი დაჩი ბრძოლიძე და „ჩემი ხარაბაულის“ რედაქტორი ლაურა გოგოლაძე „ჩემი ხარაბაულისთვის“ ჯილდოს გადაცემისას

ამბების აკილო

პირველი გვერდიდან

ურსა და გუბერნატორის აპარატის ჩართულობას.

„საიას გამოკითხვებით, ხარაგაულში გამოიკვეთა, რომ მოსახლეობისთვის ყველაზე დიდი პრობლემა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობაა, - ამბობს დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ინგა მალრაძე**, - ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო ემზადება ხარაგაულში პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის გასული წლის სხდომისთვის. კომიტეტი, რომელიც ქვეყანაში ჯანდაცვის პოლიტიკას განსაზღვრავს, ადგილზე გაეცნობა პრობლემებს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეხვედრაზე შევეცდებით, თუ როგორ დავსვათ საკითხები და პრობლემები ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე. აღინიშნა, რომ უნდა ვიმოქმედოთ თვითმმართველობასთან კოორდინირებულად, რომ გვეწოდეს შუსტი სტატისტიკა და სრულყოფილი ინფორმაცია.“

ინგა მალრაძის ინფორმაციით, ჯანდაცვის კომიტეტის გასული წლის სხდომა ხარაგაულში, სავარაუდოდ, აგვისტოში ჩატარდება.

„სკოლები ზამთარს მოეწადება“

შეხვედრები

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, **ლადია პინაძის** ინფორმაციით, ხარაგაულის #2 და #3 სკოლების შენობები გაზიფიცირდება. მისივე თქმით, ამ სკოლების გაზიფიცირებისთვის გამოცხადებული ტენდერი არ შედგა. „ინფრასტრუქტურის სააგენტოში გვითხრეს, რომ სავარაუდოდ, სკოლებს მიეცემა უფლება, რომ გაზიფიცირებისთვის თავად გამოაცხადონ გამარტივებული ტენდერი. რაც შეეხება გათბობის სისტემის დამონტაჟებას, ამზე ცენტრალიზებულად გამოცხადებს ტენდერს ინფრასტრუქტურის სააგენტო“, - ამბობს დავით კიკნაძე.

ხარაგაულის საჯარო სკოლებს ზამთარში გათბობისთვის დახლოებით 800-მდე მ³ შეშა სჭირდება. „მივმართეთ სატყეო სააგენტოს, რათა სკოლებმა განახორციელონ სოციალური ტყეები. ამ მიზნით თანხა ხარაგაულის ყველა საჯარო სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია. ცალკე ჩაერიცხება თანხა ხუნევის სკოლას. სკოლებში მონიტორინგით დავადგენთ, რამდენად მიზნობრივად გაიხარჯა თანხა შეშით მომარაგებაზე“, - ამბობს დავით კიკნაძე. მისი თქმით, ხარაგაულის საჯარო სკოლები ზამთარს შეშით მომარაგებული შეხვდებიან.

ხევისა და ღორების სკოლებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ხევი სკოლას შეშით გათბობენ, ღორებში - დიზელის საწვავით. ღორების სკოლის დირექტორ **ქატიკაძე ბარბაქაძის** ინფორმაციით, სკოლას აქვს თანხა ინფორმაციის სანავიგაციო კაბინეტი და ცენტრალური გათბობის სისტემა მწყობრშია.

სკოლებში სამედიცინო კაბინეტების აღდგენა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, **ლადია პინაძის** ინფორმაციით, სკოლებში სამედიცინო კაბინეტების აღდგენის საპილოტე პროექტში მონაწილეობისთვის #2 საჯარო სკოლა (დირექტორი **პაპიაშვილი**) შეირჩა. განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების თანამშრომლობით, პროექტის ფარგლებში სკოლაში მოეწყობა სამედიცინო აპარატურით, მედიკამენტებითა და სხვა საჭირო რესურსებით აღჭურვილი კაბინეტი და დასაქმდება ექიმი. 2015 წლიდან სამედიცინო კაბინეტები, სავარაუდოდ, ყველა სკოლაში აღდგება.

გარემოსდაცვითი ღონისძიება ხარაგაულში



ხარაგაულში 7 ივლისს პლასტიკური ნარჩენების გადამუშავების დღე გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გარემოსდაცვითი პროგრამის (UNDP) წარმომადგენლები. მინისტრმა **ხათუნა ჰოვალაძე**

და გარემოსდაცვითი პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში - **ნილს სპოტიმ** დაათვალიერეს სპეციალური პრესი, რომელიც განკუთვნილია პოლიეთილენის ბოთლებისა და პარკების გადასამუშავებლად. ისინი ასევე დაესწრნენ გარემოსდაცვითი პლაკატების გამოფენას, რომელიც

ხარაგაულელმა ახალგაზრდა გარემოსდაცველებმა მოაწყვეს. უკვე ერთი წელია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ნარჩენების გადამამუშავების გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარის უსაფრთხო გზების დაწესება. სამოქალაქო ჯგუფებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მცდელობით, სხვადასხვა

სოფლებში განთავსდა 26 ალტერნატიული ბუნებრივი პოლიეთილენის ნარჩენების შესაგროვებლად, საჯარო სკოლებში ჩატარდა ღია გაკვეთილები ნარჩენების მართვის შესახებ, ხოლო ხარაგაულში გაიხსნა საქმიანი ეზო, სადაც მოხდება შეგროვებული ნარჩენების გადამამუშავება.

სპეციალური პრესის მეშვეობით, პოლიეთილენის ბოთლები და პარკები გადამამუშავდება უსაფრთხოდ, დანვის გარეშე, რაც გამოირიცხავს გარემოში მავნე ნივთიერებების, დიოქსინ ფურანების გამოფრქვევას.

ნარჩენების მართვის ინიციატივას სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ (ხელმძღვანელი ხათუნა მანჯავიძე) გარემოსდაცვითი პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარის უსაფრთხო გზების დაწესების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

„ნარჩენების მართვის დღეს“ ესწრებოდნენ ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ნოდარ ებანიძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლებისა და იმერეთის მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ფოტო: მინისტრი ხათუნა გოვალაძე და გარემოსდაცვითი პროგრამის ხელმძღვანელი ნილს სპოტიმ ხარაგაულში გარემოსდაცვითი პლაკატების გამოფენაზე

ენპარდი - სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) პოლიტიკური ინიციატივაა, რომელიც აღიარებს სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას სურსათის უსაფრთხოების, მდგრადი წარმოებისა და სოფლად დასახლების თვალსაზრისით.

პროგრამის ხანგრძლივობა ხუთი წელია (2012 წლის იანვარი - 2016 წლის იანვარი) და იგი მიმართულია სოფლად მცხოვრების ფერმერებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებისთვის დახმარების განვითარებაზე ისეთი კანონების მიღებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს კოოპერაციის ფერმერებს შორის და სოფლის განვითარების მიზნით გრანტების გაცემაზე ფერმერებისთვის მასშტაბურ ორიენტირებულ ეკონომიკის განვითარებაში დახმარების გასაწევად.

პროგრამა მიზნად ისახავს ტექნიკური დახმარების გაღრმავებას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, რათა გაძლიერდეს სამინისტროს შესაძლებლობა, გაატაროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიით გათვალისწინებული რეფორმები 2014-2020 წლებში. აღნიშნული სტრატეგია საქართველოს მთავრობამ 2012 წლის მაისში მიიღო.

პროგრამა ENPARD საქართველოსთვის 52 მილიონ ევროს ითვალისწინებს. ბიუჯეტი შემდგენიერად არის დაყოფილი:

- **24 მილიონი ევრო - ბიუჯეტის დახმარება**. ბიუჯეტის დახმარება გამოიყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შესაძლებელია იმ პრობლემებს, რომელთა შესახებ მოილაპარაკეს ევროკავშირის და საქართველოს მთავრობამ. ეს პრობლემებია:

1. პოლიტიკის გაუმჯობესება და იმგვარი კანონების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს ფერმერებისა და სოფლად მოღვაწე მენარმეების კონკურენტუნარიანობის გაზრდას;
2. სოფლის მეურნეობის სექტორის

თვის განვითარების ხელშეწყობის სისტემის ორგანიზება რაიონული დონის საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრებზე დაყრდნობით. აღნიშნული სისტემის მიზანია ფერმერთა ცოდნის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის, ახალი ტექნოლოგიების და ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მოთხოვნის/მიწოდების შესახებ.

3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოდერნიზება, რაც გააუმჯობესებს მის საქმიანობას და პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ ზრდაზე.

- **15 მილიონი ევრო** გრანტების სახით, რომლებიც მიენიჭა ოთხ კონსორციუმს: Oxfam (დიდი ბრიტანეთი), Care (აესტრია), People in Need და Mercy Corps (შოტლანდია). ეს კონსორციუმები აერთიანებენ 16 ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ასოციაციებს და აკადემიურ დაწესებულებებს. პროექტები დახმარებას გაუწევს **160-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის** შექმნას, რომლებსაც გაეწევთ ტექნიკური დახმარება ახალი შესაძლებლობების განვითარებისათვის. გრანტები ასევე ითვალისწინებს პირდაპირ ინვესტიციებს და მოიცავს საქართველოს 45 რაიონს.

- **3 მილიონი ევრო** **შეზღუდული** **ხელშეწყობის სახით** აჭარის რეგიონში განხორციელდება ერთობლივი პროგრამა გარემოსდაცვითი პროგრამა გარემოსდაცვითი პროგრამის განვითარების პროგრამა ამ კომპონენტს 300 000 ევროთი დააფინანსებს.

თავისი არსებობის პირველივე თვეებში ENPARD საქართველომ უკვე დაიწყო მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა. ოთხი გრანტის მიმღები კონსორციუმები აწარმოებდნენ სხვადასხვა საქმიანობას, რომელიც მოიცავდა ფერმერებს შორის კარდაკარ სიახლეს და მათ გამოკითხვას, ასევე



შეხვედრებს მუნიციპალიტეტებთან და ქვეყნის იმ 45 რეგიონში მცხოვრებ ფერმერებთან, სადაც კონსორციუმები წევრებმა დაიწყეს საქმიანობა. ამგვარი შეხვედრების სასარგებლო იყო ყველა მხარისათვის, რათა მათ გაეცნოთ ENPARD-ის მექანიზმები და გაეგოთ ის სარგებელი, რომელსაც პროგრამა მოუტანს მათ როგორც თემს და როგორც ფერმერებს. მყარდება თანამშრომლობა რეგიონულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც მიზნად ისახავს ENPARD-ის საქმიანობაში სასოფლო-სამეურნეო ფაქტორების როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ისე სტუდენტების ჩართვას. ქუთაისში ერთ-ერთმა კონსორციუმმა - The People in Need - უკვე შეიმუშავა სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ENPARD-ის მიერ ჩატარებულ ფერმერთა გამოკითხვებში, მონაცემთა შეგროვებაში და ადგილობრივი ფერმერების განალიზებაში. სოფლის მეურნეობის სფეროს ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვა ფერმერთა ყოველდღიურ ცხოვრებაში სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის - როგორც სტუდენტების, ისე ფერმერებისთვის, ვინაიდან ადგილზე გამოცდილი, კარგად მომზადებული

და ინფორმირებული სპეციალისტების ნაკლებობა შეინიშნება.

გარდა ამისა, ENPARD-ის სტრატეგიის ნაწილია მცირე ფერმერთა მუშაობაში მცენიერული აზროვნებისა და ცოდნის შეტანა და მათთვის თანამედროვე ტექნოლოგიების შემოღებაში და უფრო ეფექტიანად ქვეყანაში დახმარების განვითარება. თავისი საკომუნიკაციო სამსახურის მეშვეობით ENPARD-მა მოახერხა, ჩამოეყალიბებინა ძალზე ეფექტიანი ქსელი კონსორციუმების წევრებთან და მათ შორის. ეს პარტნიორობა ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა პროგრამის - რომელიც ეხება ქვეყანაში მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას - შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის. ადამიანების ინფორმირებას და ჩართვას პროგრამის განვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თავად პროგრამის წარმატებისთვის. შემოსენებული საქმიანობის შედეგად პირველად ბევრი წლის განმავლობაში, საფუძვლიანი გამოკითხვებზე დაყრდნობით, მომზადდა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი პრობლემებისა და საჭიროებების დეტალური ანალიზი.

მაია ჩიბაძე

ენპარდის საკომუნიკაციო ქსელის ხელმძღვანელი



ვიწყებთ ცხოვრების ახალ გზას

2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 36 ათასამდე აბიტურიენტმა გაიარა. გამოცდები, საქართველოს მასშტაბით, 19 საგამოცდო ცენტრში ტარდება. წელს სახელმწიფოს სრულად დაფინანსდება შვიდი მიმართულების 21 ფაკულტეტი.

ხარაგაულელმა **ნიკოლოზი** უკან მოიტოვა საგამოცდო მღელვარება და როგორც თავად ამბობს, ტესტები მისთვის რთული არ იყო. თუმცა, იმის გამო, რომ კერძო უსტად არ იყის, როგორც მღელვარება იქნება, ცოტას ნერვიულობს. „პირველ ნომრად თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი მიწერია, მაგრამ ქულების გავების

შემდეგ, შესაძლოა, გადაწყვეტილება შევიცვლო“, - ამბობს ნინო.

გიორგი ლომიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტობა სურს. უკვე ოთხი გამოცდა ჩააბარა, მხოლოდ მათემატიკა დარჩა. ამბობს, რომ ტესტები მისთვის საკმაოდ რთული იყო, თუმცა თავი გაართვა. გიორგი ყველა მეგობარს წარმატებას უსურვებს.

მარიამ მაძაძე ამბობს, რომ მისთვის ყველაზე დიდი სირთულე პირველ გამოცდაზე გასვლის მღელვარება უკვე იყო: „გამოცდაზე, ტესტებს რომ ვადავებდი, დავშვიდი. გამოცდა რთული არ იყო. კარგი შედეგების მიღების იმედი მაქვს.“

„უფრო რთულ ტესტებს ველოდი“, - ამბობს **სალაშვილი**. მისი ოცნება ურნალისტობაა, - ძალიან ვნერვიულობდი გამოცდებამდე. პირველი გამოცდის შემდეგ თითქოს აზარტში შევედი. ყველა აბიტურიენტს ვუსურვებ წარმატებას. ჩვენ ვინცებთ ცხოვრების ახალ გზას“.

ერთიანი ეროვნული გამოცდების პარალელურად, ჩატარდება საერთო სამაგისტრო გამოცდა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსი და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები.

საგამოცდო პროცესი 16 ივლისს დასრულდება.

თამარ გოგოლაძე

ეშვს თვეში სოცდახმარებამ 294 102 ლარი ბაიჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის ექვს თვეში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემულია 294 102 ლარი და 70 თეთრი. მათ შორის:

- მედკამენტების შესაძენად 601 მოქალაქეზე - 61 529, 26 ლარი;
- ოპერაციისთვის 50 მოქალაქეზე - 25 513,71 ლარი;
- სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებისთვის 270 მოქალაქეზე - 69 290,73 ლარი;
- ახალშობილებისთვის 113 მოქალაქეზე - 14 400 ლარი;
- 80 მოქალაქის დაკრძალვის ხარჯი - 16 200 ლარი;
- ომის ორი ვეტერანის დაკრძალვისთვის - 500 ლარი;
- გაჭირვებულ და დავრდომილ 27 მოქალაქეზე - 945 ლარი (თითოეულს 35 ლარი);
- „ალიონ“ დღესასწაულთან დაკავშირებით 31 ოჯახზე კვების პროდუქტებისთვის - 516 ლარი;
- 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეზე - 600 ლარი (თითოეულს 300 ლარი);
- 9 მასთან დაკავშირებით სამამულო ომის 27 ვეტერანზე - 5 400 ლარი (თითოეულს 200 ლარი);
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 78 ბავშვზე - 3 900 ლარი (თითოეულს 50 ლარი);

დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიან, დავრდომილ, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დედებს - 269 ქალბატონს - 13 450 ლარი (თითოეულს 50 ლარი);

ადღვამის დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებულ და მარტოხელა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა, დევნილების და ჩერნობილის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა 338 ოჯახზე - 16 900 ლარი (თითოეულს 50 ლარი);

ომის ვეტერანების ყოველთვიური კომუნალური გადასახადებისთვის - 4 225 ლარი (თითოეულს 25 ლარი);

გესტაფონის უსინათლოთა კავშირში აღრიცხვებზე მყოფ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებზე ყოველთვიური კომუნალური გადასახადებისთვის 3 040 ლარი (თითოეულს 20 ლარი);

პროექტ „ეტალონის“ ფინანსებისთვის კომპიუტერის შესაძენად 793 ლარი;

სტიქიის შედეგად დაზარალებული და მიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 48 მოქალაქეზე - 56 900 ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული ინფორმაციით, ივნისში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებზე პრემია არ გაცემულა.



გაფხულის შინაარსიანი საღამოები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით დაიწყო პროექტი „გაფხულის საღამოები“. სამსახურის უფროსის, **ირინე ჩხეიძის** ინიციატივით, დაგეგმილია საინტერესო ღონისძიებები. „პროექტი გასულ კვირას სასტუმრო „უღელტეხილის“ მიმდებარე ღია ბარში ქართული კონცერტის ფორმით დაიწყო. „ფეოლა“ და „ბურთი და მოედანი“, ჩვენებით დაიწყო, - გვიამბობს ირინე ჩხეიძე,

- გამართა ნარდის ჩემპიონატი ღია ესტრადაზე. ჩემპიონატი მონაწილე ქალბატონების სურვილია, რომ ნარდის ჩემპიონატი მათთვის ცალკე ჩატარდეს.“

ირინე ჩხეიძის ინიციატივით, პროექტში ჩართო ცენტრალური ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში მკითხველებისთვის მოეწყო ახალი ლიტერატურის პრეზენტაცია.

პროექტის „გაფხულის საღამოები“, ფარგლებში 9 ივლისს თოჭინების თეატრმა ბაზალეთში პატარა მაყურებლისთვის გამართა სპექტაკლი

„კომპლე“. თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე ამბობს, რომ თოჭინების თეატრის სპექტაკლს სხვა სოფლებშიც აჩვენებს. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტის სოფლებში იგეგმება სამაგიდო ჩემპიონატებისა და კინოჩვენებების გამართვა.

„პარასკევს, 11 ივლისს, საღამოს ხუთ საათზე მოეწევა შეხვედრა ფეხბურთის ფანებთან, უახლოეს დღეებში კი - გურმანებთან და კულინარებთან. ვფიქრობთ, გაფხულის საღამოებს ყველა ერთად შინაარსიანად გავატარებთ“, - ამბობს ირინე ჩხეიძე.

ერთი დღე მცხეთასა და თბილისში

3 ივლისს საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიყოფიერებისათვის“ (თავმჯდომარე მია კვეციანი) და ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იზა ვეფხვაძემ, ხარაგაულელ ბავშვებს მოგვინყო ექსკურსია თბილისში. ამ ღონისძიებამ მონაწილეობდნენ ხარაგაულის, ლაშის, ბაზალეთის, საღანძილისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ექსკურსია მცხეთიდან დაიწყო. პირველად მოვიხსილეთ სამთავროს მონასტერი. ეკლესიაში ბერი გაბრიელის ნეშტი ესვენა. ეს უდიდესი სიხარული იყო თითოეული ჩვენთაგანისთვის, რადგან მოგვეცა საშუალება კიდევ ერთხელ შევხებოდით ბერის წმინდა ნაწილებს. შემდეგი მარშრუტი სამების საკათედრო ტაძრისკენ ავიღეთ. ექსკურსიამ ძალიან დეტალურად აგვიჩვენა თითოეული წმინდანის ხატი და საპატრიარქოსგან საჩუქრად გადმოგვცა წიგნები „წმინდა ჩვენს ცხოვრებაში“ და „ახალი ვრა“. მოვიხსილეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სადაც ბევრი საინტერესო ნივთი ვნახეთ. ეს ხომ ჩვენი საქართველოა უდიდესი საგანძურია.

„მეგობრული სადილი“ თბი-

ლისის ერთ-ერთ ლამაზ რესტორანში გავემასპინძლდნენ ბავშვებს. ამის შემდეგ მოვიხსილეთ „მთაწმინდის პანთეონი“, სადაც განისვენებდნენ ცნობილი პიროვნებები: აკაკი წერეთელი, ანა კლანდაძე, ექვთიმე თაყაიშვილი... ჩვენთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ნოდარ დუმბაძის სახელმუშეში, სადაც შევხვდით მწერლის მეუღლეს ქალბატონ ნანულის. მან გვიამბო ნოდარ დუმბაძის ცხოვრების როგორც ხალისიანი, ასევე სევდიანი ისტორიები. თითოეული ჩვენთაგანი დიდი გულისყურით ვუსმენდით ქალბატონ ნანულის მონაყოლს, ეს უდიდესი ბედნიერება იყო ჩვენთვის. ბოლო გაჩერება მუშტიდის პარკი იყო, სადაც ასევე უსასყიდლოდ გავემასპინძლდნენ ორგანიზატორები. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რადგან ბევრი მეგობარი შევიძინე და მოვისინე ისეთი ისტორიები, რაც აქამდე არ ვიცოდი.

დიდი მადლობა ორგანიზაციას „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიყოფიერებისათვის“ და ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, რომლებმაც ბავშვებს ეს ულამაზესი დღე გვაჩუქეს.

მარიამ ბლიაძე
ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა



უამრავი თაობა გაგზარდოთ

მადლიერების გრძნობის გარდა არათფერი გეუფლება, როდესაც შენ შვილის ისეთ გარემოში ტოვებ, როგორც შექმნილია ხარაგაულის #1 საბავშვო ბაღში. ჩვენ შვილებს ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ საბავშვო ბაღის პედაგოგები, რომელთაც ძალიან რთული მისია აუვალიათ.

განსაკუთრებით დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ უფროსი ჯგუფის აღმზრდელს ქალბატონ მელუკი ბოგვერაძეს. მთელი სასწავლო წლის მანძილზე მელუკი მასწავლებელი დიდი

პასუხისმგებლობით ზრუნავდა ჩვენს შვილებზე. მის მიერ ჩატარებულ ყველა პრეზენტაციაზე თვალნათლივ ჩანდა, თუ როგორი სერიოზულობით აითვისეს ჩვენმა შვილებმა სკოლისათვის მოსამზადებელი პროგრამა, თითოეული თემა. რაც შეეხება ზემო, დღესასწაულად იყო ქვეული, დარბაზი საესე იყო სტუმრებით, ყველა იზიარებდა პატარების სიხარულს. ზემო დარბაზი ჯანსუღ კახიძის სიმღერით. პატარებმა გაიხსენეს და მოეფერნ საქართველოს წარსულს, ულამაზესი ლექსები და სიმღერები მიუძღვნეს მის ანწყოსა

და მომავალს. მელუკი მასწავლებელი ამბობს: „ჩვენი მომავალი ამ თაობებს ეკუთვნის.“

დიდი მადლობა ხარაგაულის #1 საბავშვო ბაღის თითოეულ თანამშრომელს. მადლობა უანგარო პრომოსათვის, მადლობა ბავშვების ერთგულებისათვის. ღმერთმა უამრავი თაობა გაგზარდვიანოთ.

ლილი სიმარაშვილი და აბიმილიანი
შობოლაძე
გამოსაშვებ ზემოზე

